დასკვნა:**დ05. 3726236001**
თარიღი:**24/08/2026**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ტატა ბარამიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა საკითხი — „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ტატა ბარამიძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“.

კომისიამ დაადგინა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ტატა ბარამიძემ 2026 წლის 17 აგვისტოს წერილობითი განცხადებით მიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და მოითხოვა საკუთარი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ მან უფლებამოსილება პირადი განცხადებით მოიხსნა.

ამავე მუხლით განსაზღვრულია, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი უფლებამოსილების პირადი განცხადებით მოხსნის შესახებ წერილობით აცნობებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ხოლო მისი უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტად ითვლება შესაბამისი განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღე.

კომისიამ ასევე იხელმძღვანელა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით“ და დადგენილი წესის შესაბამისად განიხილა აღნიშნული საკითხი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიამ გადაწყვიტა:

1. შეუწყდეს ტატა ბარამიძეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წევრის უფლებამოსილება 2026 წლის 18 აგვისტოდან, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების საფუძველზე.

2. წინამდებარე დასკვნა წარედგინოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომას საკრებულოს წევრის, ტატა ბარამიძის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხის კანონმდებლობით დადგენილი წესით განხილვის მიზნით.

მარიკა ჩხიკვიშვილი

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი